**სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა
და საარსებო წყაროებით
უზრუნველყოფის სააგენტო**

15 ა მიხეილ თამარაშვილის ქუჩა
0186 თბილისი, საქართველო
1505
info@idp.gov.ge

10 დეკემბერი 2024

IDP 1 24 01310124

საქართველოს პარლამენტს

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის თავისუფლების შესახებ.

2024 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრის მდგომარეობით სულ შემოსულია 40 განცხადება. უარი მოთხოვნაზე არ გაცემულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ადმინისტრირებას უწევს მონაცემთა ბაზებს, სადაც ხდება პერსონალური მონაცემების შეგროვება და შენახვა. ხსენებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება. ასევე, სააგენტოში პერსონალური მონაცემები დაცულია მატერიალური სახით.

2024 წლის მდგომარეობით პერსონალური მონაცემების მე-3 პირისთვის გადაცემა არ ფიქსირდება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, დისციპლინური სახდელების დადებას ადგილი არ ჰქონია.

ვინაიდან 2024 წელს, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ გაცემულა, შესაბამისად გასაჩივრებასა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი
ზურაბ უტიაშვილი